

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



მარტი
2022



ელექტოენერჯიის
ბაზრის მიმოხილვა

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორები:

ნორბერტო პინიატი
უფროსი ეკონომისტი

✉ n.pignatti@iset.ge

გურამ ლობჯანიძე
მკვლევარი

✉ guram.lobzhanidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე
მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2022 წლის მარტში ელექტროენერჯის გამოთხოვა წლიურად 63%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 21%-ით გაიზარდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 10%-ით გაიზარდა, ხოლო თვიურად – 12%-ით გაიზარდა.
- მოხმარებამ გამოთხოვას 273 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც მარტის თვის სრული წარმოების 25%-ია.
- წლიური იმპორტი 46%-ით შემცირდა.
- იმპორტში მთავარი პარტნიორი ქვეყანა რუსეთი იყო.
- რუსეთიდან იმპორტის ფასი ერთ კილოვატსაათზე 7.81 თეთრია.
- იმპორტის საშუალო შენონილი ფასი ლარში წლიურად 2%-ით გაიზარდა, ხოლო თვიურად – 7%-ით შემცირდა.
- 2022 წლის მარტში საქართველოს ექსპორტი თითქმის არ ჰქონია.
- 2021 წლის აპრილიდან საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი 2022 წლის მარტში კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს მესამე ჩამოსცდა და 1499-ს მიაღწია. ის უფრო მაღალი იყო 2021 წლის მარტის (498) და უფრო მაღალი იყო 2022 წლის თებერვლის (1324) მნიშვნელობებთან შედარებით.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2020 წლის სექტემბერი (ინდექსის მნიშვნელობა – 2522) ბოლო თვე იყო, რომლის განმავლობაშიც ინდექსის მნიშვნელობა მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ასცდა. მას შემდეგ ინდექსის ტენდენცია დადებითი გახდა, თუმცა 2021 წლის ოქტომბრიდან მან ზრდა დაიწყო და 2022 წლის იანვარში 2015-ს მიაღწია. 2022 წლის თებერვლიდან ტრენდი დადებითი გახდა და მარტში ინდექსის მნიშვნელობამ 1926-ს მიაღწია.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰენი	ჰიდროელექტროსადგური
თენი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდლის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მინოდებისთვის


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის მარტში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1077 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 63%-იან ზრდას წარმოადგენს (2021 წლის მარტში სრული წარმოება 661 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების ყოველწლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (20%) და თბოელექტროსადგურების (182%) გაზრდილმა გამომუშავებამ განაპირობა, მაშინ როცა ქარის ენერჯის წარმოება 20%-ით შემცირდა.

თვიური გამოთვლებით, წარმოება, დაახლოებით, 21%-ით გაიზარდა (2022 წლის თებერვალში სრული წარმოება 890 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (30%), თბოელექტროსადგურების (12%) და ქარის ენერჯის (31%) წაებობების ზრდამ გამოიწვია.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1350 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (10%-ით მეტი 2021 წლის მარტთან შედარებით და 12%-ით მეტი 2022 წლის თებერვალთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2022 წლის მარტში ენერჯის მოხმარებამ წარმოებას 273 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 25%-ს შეადგენდა (2021 წლის მარტში მოხმარებასა და წარმოებას შორის სხვაობამ 566 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების დაახლოებით 86%-ს გაუტოლდა).

დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება




წყარო: ESCO

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (თესი) მოდის. 2022 წლის მარტში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 571 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 53%),

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა


თბოელექტროსადგურების (თესების) წარმოება – 499 მილიონ კილოვატსაათს, ხოლო ქარის ენერჯის წარმოება – 7 მილიონ კილოვატსაათს (სრული გამომუშავების 46% და 1%, შესაბამისად) (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 38% გამოიმუშავეს (216 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, – 53% (304 მილიონი კილოვატსაათი) და 9% (50 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).


დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

თბოელექტროსადგურებიდან მტკვრის თესმა 116 მილიონი კილოვატსაათის ენერჯია გამოიმუშავა, რაც სრული თბოელექტროენერჯის 23%-ს და სრულად წარმოებული ენერჯის 11%-ს უდრის. გარდაბანი 1-მა 162 მილიონი კილოვატსაათის ენერჯია გამოიმუშავა – სრული თბოელექტროენერჯის 32% და სრულად წარმოებული ენერჯის 15%, ხოლო გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 166 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია – სრული თბოელექტროენერჯის 33% და სრულად წარმოებული ენერჯის 15%. თბოელექტროენერჯის დარჩენილი 54 მილიონი კილოვატსაათი კი Gpower-მა და თბილსრესმა გამოიმუშავეს (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ESCO

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 28 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯის 13% და სრული წარმოების 3%). ენგურჰესმა 90 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯის 42%-ს და სრული წარმოების 8%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში




წყარო: ESCO

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2021 წლის მარტთან შედარებით 63%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ESCO


ელექტროენერჯის მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (29% – 389 მილიონ კილოვატსაათი), აფხაზეთი (24% – 329 მილიონ კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (21% – 281 მილიონ კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (26% – 350 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). წლიური მოთხოვნა აფხაზეთისგან (1%), თელასისა (10%) და პირდაპირი მომხმარებლებისგან (42%) გაიზარდა, ხოლო ენერგო-პრო ჯორჯიასგან (-2%) - შემცირდა. საერთო ჯამში, 2022 წლის მარტში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 10%-ით გადააჭარბა 2021 წლის მარტის მოხმარებას (დიაგრამა 8).

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა. 2021 წლის ივლისიდან კი ელექტროენერჯის მიწოდებაზე ეპ ჯორჯიას პასუხისმგებელი.


² 2021 წლის ივლისიდან ელექტროენერჯის მიწოდებაზე პასუხისმგებელია თელმიკო.

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა



წყარო: ESCO

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ESCO

2022 წლის მარტში საქართველომ 331 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯის იმპორტი განახორციელა (2021 წლის მარტის 610 მილიონ კილოვატსაათთან შედარებით). ელექტროენერჯის 98% რუსეთიდან იქნა იმპორტირებული (აქედან 60% აფხაზეთისთვის), 1% სომხეთიდან, 1% კი – აზერბაიჯანიდან (დიაგრამა 9). 2022 წლის მარტში საქართველომ 1 მილიონ კილოვატსაათზე ნაკლები ელექტროენერჯის ექსპორტი განახორციელა, რომელიც სრულად რუსეთის მიერ იქნა იმპორტირებული (2021 წლის მარტში ექსპორტი 8 მილიონი კილოვატსაათი იყო) (დიაგრამა 10). 2022 წლის მარტში 92 მილიონი კილოვატსაათის ენერჯის ტრანზიტი განხორციელდა რუსეთიდან თურქეთში, და დამატებით 31 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი სომხეთიდან თურქეთში (2021 წლის მარტში ტრანზიტი არ ყოფილა).

2021 წლის მარტთან შედარებით, იმპორტი 46%-ით შემცირდა, ხოლო ექსპორტი თითქმის 100%-ით შემცირდა (ეფექტ გამოწვეულა დბალ რეცხვებით).

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა


დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ESCO

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ESCO

2022 წლის მარტში ელექტროენერჯის იმპორტი 7%-ით შემცირდა 2022 წლის მარტის მონაცემებთან შედარებით (დიაგრამა 11). ელექტროენერჯის ექსპორტი 95%-ით შემცირდა 2022 წლის მარტის მონაცემებთან შედარებით და საერთო სურათში ექსპორტის მაჩვენებელი კვლავ დაბალი რჩება (დიაგრამა 12). მარტი ზედიზედ მეხუთე თვე იყო, რომელიც გამომუშავება-მოხმარების დეფიციტით დასრულდა 6-თვიანი სიჭარბის პერიოდის შემდეგ.


დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ESCO

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ESCO

1. საბაზრო ოპერაციები

2022 წლის მარტში ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 72% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 28% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ESCO

2022 წლის მარტში საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 18.3 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური ზრდის 10%-ს შეესაბამება 2021 წლის მარტთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო ფასს, დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის ის 13.4 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2021 წლის მარტის მონაცემებთან შედარებით 9%-იანი ზრდის ტოლფასია (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ESCO

2022 წლის მარტში, გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით 16.73 მილიონი ლარი იყო, რაც წარმოადგენს 5%-იან კლებას 2020 წლის მარტთან შედარებით. 2021 წლის მარტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი (დიაგრამა 15).

დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი




Source: ESCO

2022 წლის მარტში ელექტროენერჯის იმპორტის საშუალო ფასი აშშ დოლარში წლიურად 5%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში – დაახლოებით 2%-ით (2021 წლის მარტში არსებული 2.37 ცენტიდან ან 7.90 თეთრიდან კილოვატსაათზე – 2.50 ცენტამდე ან 8.09 თეთრამდე კილოვატსაათზე 2022 წლის მარტში – დიაგრამა 16). იმპორტის საშუალო ფასი თვიურად აშშ დოლარში 14%-ით, ხოლო ლარში 7%-ით შემცირდა (2022 წლის თებერვალში ფასი 2.89 ცენტს ან 8.70 თეთრს შეადგენდა ერთ კილოვატსაათზე). 2022 წლის მარტში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი წლიურად აშშ დოლარში 139-ჯერ გაიზარდა, ხოლო ლარში – დაახლოებით 135-ჯერ (2021 წლის მარტში არსებული 0.003 ცენტიდან ან 0.01 თეთრიდან კილოვატსაათზე – 0.37 ცენტამდე ან 1.20 თეთრამდე კილოვატსაათზე 2022 წლის მარტში – დიაგრამა 16). ექსპორტის საშუალო ფასი თვიურად 95%-ით გაიზარდა აშშ დოლარსა და ლარში (2022 წლის თებერვალში ფასი 7.60 ცენტს ან 22.87 თეთრს შეადგენდა ერთ კილოვატსაათზე). აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მარტსა და 2022 წლის მარტში ექსპორტის დნე თთქმის ნულგანი იყო და ფსების ცვლელა არიდლვა ინფორმაციას ბაზრზე არსებულ რეალური დანამიკის დასაკვირვებლად


დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | საბაზრო ოპერაციები



2022 წლის მარტში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი კილოვატსაათზე სომხეთიდან 4.43 ცენტს ან 14.38 თეთრს შეადგენდა, აზერბაიჯანიდან – 7.50 ცენტს ან 24.31 თეთრს, რუსეთიდან კი – 2.41 ცენტს ან 7.81 თეთრს (დიაგრამა 17).


დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2022 წლის მარტში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი რუსეთში 0.37 ცენტს ან 1.2 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | საბაზრო ოპერაციები




წყარო: ESCO/Geostat


2. ბაზრის კონცენტრაცია

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს ვიყენებთ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2022 წლის მარტში საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზრის ინდექსი კონცენტრირებულ და არაკონცენტრირებულ ბაზრებს შორის ზღვარს ქვემოთ დარჩა (ზედიზედ მეორე თვე) და HHI 1499 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2021 წლის მარტისა (HHI 498 ერთეული) და 2022 წლის თებერვლის (HHI 1324 ერთეული) მაჩვენებლებზე მეტია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2021 წლის მარტში ენგურჰესი არ ოპერირებდა და, შესაბამისად, ინდექსის მაჩვენებელიც ძალიან დაბალი იყო. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2022 წლის მარტში HHI მოხმარების ინდექსი მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 1926 ერთეულს გაუტოლდა (2021 წლის მარტის მაჩვენებელსა და 2022 წლის თებერვლის მაჩვენებელზე – შესაბამისად, 2263 და 1949 – დაბალი). რეალურად 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო. მას შემდეგ კი, მოხმარების საბაზრო კონცენტრაციის სეგმენტში დადამავალი ტენდენცია აღინიშნება. სურათი 2021 წლის სექტემბრის შემდეგ შეიცვალა და ბოლო 4 თვის განმავლობაში მცირედით მზარდი დინამიკა აღინიშნება (დიაგრამა 20). 2022-ის თებერვლიდან ტრენდი ისევ კლებადი გახდა.

დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ESCO